Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
№18, ნოემბერი, 2021

კონგოს მეორე ომი (1998-2003)

ქრისტინა ქვარაია
გიორგი სოსელია

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: **kristina.kvaraia839@sps.tsu.ge**
Email: **giorgi.soselia863@sps.tsu.ge**

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია გააანალიზოს კონგოს მეორე ომის გამომწვევი მიზეზები და საფუძვლიანად განიხილოს ის წინაპირობები, რომლებიც წინ უძღვის აღნიშნული კონფლიქტის დაწყებას და „აფრიკის დიდ ომად“ ტრანსფორმირებას. აგრეთვე სტატია მიზნად ისახავს გამოააშკარავოს დაპირისპირებაში ჩართულ მთელ რიგ აფრიკულ სახლმწიფოთა, მათ შორის, კონგოს, რუანდის, უგანდის, ბურუნდისა და სხვების, მოტივაცია, რომელიც იდგა მათი გააფთრებული ბრძოლის უკან და ნათელი მოჰფინოს პასუხს იმ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე, რომელიც ეხება კონგოს მეორე ომის აფრიკის მთელ კონტინენტზე გავრცელების უკან მდგომ მიზეზებს. განსაკუთრებით საინტერესოა რამ უბიძგა ზემოთ ხსენებულ სახელმწიფოებს ჩართულიყვნენ ამ კონფლიქტში? და რა იყო ის ძირითადი ინტერესები, რომლებიც მათ ამოძრავებდათ? თემა შეირჩა მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რასაც განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ეს კონფლიქტი ორი მსოფლიო ომის შემდეგ მე-20 საუკუნის კიდევ ერთ ყველაზე მასშტაბურ და სისხლისმღვრელ დაპირისპირებას წარმოადგენს, და რაც მთავარია, მოცემული შემთხვევა ძლიერად არის დაკავშირებული რუანდაში განხორციელებულ მასობრივ გონოციდთან, რომელიც მაშინ მსოფლიოსათვის დიდ და ჩამოურეცხავ სირცხვილად იქცა. ჩვენ ნაშრომის მიზნების მისაღწევად გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები, სტატია ეყრდნობა პირველად, მეორეულ და მესამეულ წყაროებს, აკადემიურ წრეებში დაცულ შესამაბის ლიტერატურას, გავნელიანი საინფორმაციო გამოცემების გამოქვეყნებულ მასალებსა და დარგის ექსპერტთა სამეცნიერო პუბლიკაციებს. შედეგად, კვლევამ, რომელიც ამ უაღრესად საინტერესო და იშვიათ შემთხვევას მივუძღვენით, აჩვენა, რომ კონგოს მეორე ომი და მისი ესოდენ მასშტაბური ხასიათი რეგიონისათვის დამახასიათებელმა კომპლექსურმა პრობლემებმა - რთულმა ეთნიკურმა, გეოპოლიტიკიურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ - გამოიწვია. რაც შეეხება ამ კონფლიქტში ჩართულ აქტორთა ინტერესებსა და მოტივებს, როგორც აღმოჩნდა, ეს ძირითადად ეროვნულ უსაფრთხოებასთან, მოკავშირულ და მტრულ ურთიერთობებთან, რესურსებისა და სიმდიდრის მოპოვებასთან თუ რეგიონული ლიდერობის სურვილთან იყო დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: აფრიკის მსოფლიო ომი, რუანდის გენოციდი, ეთნიკური დაპირისპირება, კაბილას ხელისუფლება, ბრძოლა რესურსებისათვის.

შესავალი

აფრიკის კონტინენტი მსოფლიო მასშტაბით გამოირჩევა თავისი ბობოქარი ეთნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტებით. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული უმწვავესი დაპირისპირებების კერაა აფრიკის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორია (Merchant, 2020). 1998-2003 წლებში მიმდინარე კონგოს მეორე ომი, ეთნიკურ ნიადაგზე წაროშობილ მასშტაბურ შეტაკებებს წარმოადგენს ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებს - ტუსტისა და ჰუტუს ტომებს - შორის, რასაც თან დაერთო შესაბამისი პოლიტიკური სარჩული და ჩვენ მივიღეთ მეორე მსოფლიო ომის

შემდეგ ყველაზე სისხლისმღვრელი ომი კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, „აფრიკის მსოფლიო ომსაც“ უწოდებენ[1] (Williams, 2013). შესაბამისად, საკითხით ჩვენს დაინტერესებას განაპირობებს კონფლიქტის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მისი მასშტაბები, ეთნიკური და პოლიტიკური საფუძვლები, ასევე მსხვერპლის დიდი რაოდენობა და გენოციდის უმწვავესი შედეგები. საერთაშორისო პოლიტიკის შემსწავლელთა სფეროში ქეისი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, ვინაიდან კონგოს მეორე ომი ორი მსოფლიო ომის შემდეგ გასული საუკუნის ყველაზე დიდ და სისხლისმძვრელ კონფლიქტს წარმოადგენს, მისი მიზეზების კვლევა კი საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტებისათვის მეტად პრიორიტეტულია. თანამედროვე დროისათვის საკითხის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ აფრიკის კონტინენტზე დაპირისპირება დღესაც არ არის ჩამქრალი და ეთნო-პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოშობილი უთანხმოება ნებისმიერ დროს შეიძლება ისევ მასშტაბურ სისხლისღვრაში გადაიზარდოს. ამასთან მოცემული კონფლიქტის მიზეზების კვლევა იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას, რადგან მასში ჩართულ აქტორთა ინტერესები გამოკვეთს ზოგად ტენდენციებს, რომლებიც მსგავს შემთხვევებზე მსჯელობისას მკვლევართათვის შესაძლოა სასაგებლო აღმოჩნდეს. გარდა ამისა, საყოველთაო გლობალიზაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეპოქაში მსოფლიოს ერთ წერტილში განვითარებული მოვლენები საერთაშორისო რეზონანსის საგანია და საინტერესოა ქართველი სტუდნეტებისთვისაც, მითუმეტეს, რომ საქმე ეხება მსგავსი მასშტაბის კონფლიქტს, რომელიც დღემდე არაა ამოწურული. ქეისი ყურადღებას იქცევს იმ თალსაზრისითაც, რომ მასში დიდი იყო გარე აქტორების ჩართულობა, თუმცა მათმა რეაქციამ, გაეროსა და საერთაშორისო საზოგადოების მცდელობებმა - კონფლიქტი საწყის ეტაპზევე ჩაეხშოთ - ფაქტობრივად უშედეგოდ ჩაიარა და ვერ გახდა წინაპირობა აგვეცილებინა წინა საუკუნის კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა თავისი სავალალო შედეგებით. თუმცა ნამდვილად დასაფასებელია გაეროს ჩართულობა საბოლოოდ მხარეებს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევაში (Weiss, 2000). მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, კონფლიქტის ცალკეული კერები დღემდე არ არის ლიკვიდირებული, ასე, რომ კონგოს მეორე ომის შედეგად უკიდურესად გამწვავებული დაპირისპირება ლენდუსა და ჰემას ტომებს შორის, მართალია, დაბალი ინტენსივობით, მაგრამ მაინც ახლაც გრძელდება (Olsson & Fors, 2014). რაც შეეხება მთავარ საკვლევ კითხვას, რომელზე პასუხის გაცემასაც ისახავს მიზნად ეს ნაშრომი, შეგვიძლია ასეც ჩამოვაყალიბოთ: რამ გამოიწვია კონგოს მეორე ომი, რომელმაც ფაქტობრივად მთელი აფრიკის კონტინენტი მოიცვა? მაშასადამე, ჩვენი საკვლევი პრობლემა უკავშირდება „აფრიკის დიდი ომის“ სპეციფიკურ თავისებურებებს და გულისხმობს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ქეისის გარშემო არსებულ ყველაზე აქტუალურ კითხვებზე პასუხის გაცემას შემთხვევის ღრმა ანალიზისა და კრიტიკული შეფასების საფუძველზე.

[1] დანართი #1: კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოთა რუკა

ლიტერატურის მიმოხილვა

კონგოს მეორე ომი აფრიკის ყველაზე ფართომასშტაბიანი და სისხლიმღვრელი კონფლიქტია, მისი ეთნიკური საწყისებიდან და პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარე, ეს უმწვავესი დაპირისპირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემთხვევაა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, რაც განაპირობებს დამწყებ თუ უკვე გამოცდილ მკვლევარებში მისით დიდ დაინტერესებას.

სამეცნიერო წრეებში აქტიურად განიხილება ის უმთავრესი მოვლენები და ფაქტორები, რომლებიც შესაძლებელია საკითხის იგრვლივ არსებული კითხვების საპასუხოდ გამოდგეს. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ „აფრიკის დიდი ომის“ საწყის ეტაპებს. ქრისტოფერ უილიამსი კონფლიქტის დაწყებას უკავშირებს აფრიკის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ადგილობრივ მეამბოხე ჯგუფებს შორის დაუცხრომელ კონკურენციას, დავებს გვერდიგვერდ მცხოვრებ ეთნოსებს შორის მიწისა და რესურსების გამო, რამაც თავის მხრივ, წარმოშვა აჯანყებათა კერები სხვადასხვა სახელმწიფოებში, ყოველივე თავს იჩენდა მეზობელ ქვეყნებს შორის ერთმანეთის მიმართ წაყენებულ პოლიტიკურ და ტერიტორიულ პრეტენზიებშიც, რამაც ხელი შეუწყო სიტუაციის ესკალაციას და სასტიკი ომის გაჩაღებას (Williams, 2013). დაახლოებით მსგავს აქცენტებზე ამახვილებს ყურადღებას ჰერბერტ ჰეისიც და დასძენს, რომ კონგოს მეორე ომის საწყისები უნდა დავინახოთ ჯერ კიდევ 1994 წლის რუანდის გენოციდში. სწორედ ეს უმძიმესი შემთხვევა აღნიშნული რეგიონის ისტორიაში - ჰუტუს მიერ მოწყობილი გენოციდი, რომელმაც მილიონამდე ტუტსის სიცოცხლე იმსხვერპლა, გადაიზარდა აფრიკულ კატასტროფაში. გარდა კონტინენტის ეთნიკური მრავალფეროვნებისა, ჰეისი კონფლიქტის გაღვივებაში გამოყოფს იმ გარე და შიდა ანტისამთავრობო განწყობების როლსაც, რომლებიც მობუტუ სესე სეკოს მმართველობას ეწინააღმდეგებოდა და მისი რეჟიმის დასრულებაც გამოიწვია. მობუტუს საწინააღმდეგო მოძრაობის წარმოქმნა, რომელშიც რუანდა, უგანდა, ბურუნდი და სხვა სახელმწიფოები ერთიანდებოდნენ, განაპირობა მრავალმა მოტივმა, რუანდის შემთხვევაში ასეთი იყო ის, რომ მობუტუს რეჟიმმა ზაირის (კონგოს მაშინდელი სახელწოდება) ტერიტორიაზე რუანდიდან გამოქცეული ჰუტუს ხალხი შეიფარა, უგანდისა და ანგოლასათვის კი მთავარი მიზეზი რეგიონული კონკურენცია იყო, ეკონომიკურად ისედაც სუსტი მეზობლის კიდევ უფრო დაზარალება მათთვის კონკურენტის მოშორებას უდრიდა. ამ გარე ძალების ალიანსს სათავეში ჩაუდგა ლორან დეზირე კაბილა, რომელმაც ზაირის შიგნით უზრუნველყო ანტისამთავრობო აჯანყებები და მალე თავად იგდო ხელთ ძალაუფლება. კონგოს მეორე ომის შემდეგი წინაპირობა კი სწორედ კაბილას მმართველობას უკავშირდება. 1997 წლიდან ხელისუფლებაში მყოფმა კაბილამ ვერ დაასტაბულურა მდგომარეობა, ქვეყანა ვერ გამოიყვანა ეკონომიკური კრიზისიდან, ვერც ეთნიკური შუღლის გაქრობაში გამოდგა ქმედითუნარიანი და ამის პარალელურად მალევე დაკარგა მოსახლეობის ნდობა და სიმპათიები, შემდეგ კი გარე ძალების მხარდაჭერაც და უკვე თავად გახდა აჯანყების ადრესატი (Weiss, 2000). აღსანიშნავია, რომ ჯონათან გლოუერიც აფრიკის დიდი ომის საწყისს მოსახლეობის ეთნიკურ დაპირისპირებასა და 1994 წლის რუანდის გენოციდში ხედავს. ხოლო ამ კონფლიქტში თითქმის მთელი კონტინენტის ჩართვას იგი უკავშირებს კონგოს მიწების სიმდიდრეს მინერალებითა და სასარგებლო წიაღისეულით, სწორედ ოქროს, ალმასებისა და სხვა ძვირფასი მეტალების მოპოვებას ისახავდა მიზნად კონგოს მეორე ომში ჩართული მრავალი სახელმწიფო.

(Glover, 2010). საინტერესოა ფილიპ რეინტენსის პოზიციაც, მისი თქმით, კონფლიქტს კომპლექსური საფუძვლები გააჩნია და მასში ბურუნდის, უგანდასა და რუანდას ჩართვა პირველ ყოვლისა, მათ ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებას უნდა დავუკავშიროთ, ვინაიდან რუნდაში ტუტსის პოზიციის აღდგენის შემდეგ იქიდან გამოდევნილი ჰუტუს ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები დიდი რაოდენობით გადავიდნენ ზაირში, საიდანაც კვლავ დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მეზობელი სახელმწიფოების ტუტსი მაღალჩინოსნებით დაკომპლექტებულ მთავრობებს (Reintjens, 1999). რაც შეეხება უშუალოდ კონგოს მეორე ომის მიმდინარეობას, მისი აღწერისას მკვლევრები კონფლიქტისა და შეიარაღებული ბრძოლის მრავალ კერაზე მიუთითებენ, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს აფრიკის დიდი ომის მასშტაბურობასა და კომპლექსურ ხასიათზე. მაგალითად, უილიამსი დიდ დატვირთვას ანიჭებს 1996 წლიდან კონგოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამხრეთ კივუს რეგიონში ჯერ კიდევ მობუტუს წინააღმდეგ წამოწყებულ აჯანყებას, რომელსაც რუანდის მთვარობა კურირებდა. ამ უკანასკნელის მიზანი კი ზაირელი ტუტსი ხალხის დაცვა და მობუტუს რეჟიმის დამხობა გახლდათ. ასეთმა ფაქტებმა კი თავი მოგვიანებით ისევ იჩინა და საქმე კონგოს მეორე ომამდე მივიდა (Williams, 2013). შემდგომი ვითარების წარმოსაჩენად საყურადღებოა ერბერტ ვეისის ნაშრომიც, რომლის თანახმადაც, ისეთი ფაქტორებმა, როგორებიცაა 1997 წელს ქვეყნის სათავეში მოსული კაბილას არასწორი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკამ და იმ ჭორნარევმა ინფორმაციებმა, რომლებიც მთავრობის შესახებ მოსახლეობაში მუსირებდა, ერთი მხრივ, გაამძაფრა ურთიერთობები კაბილასა და რუანდა-უგანდას შორის და მეორე მხრივ, დაუკარგა ახალ მთავრობას ნდობა საკუთარ თანამემამულეებში. ეს ძალები კვალავაც ანტისანთავრობო კოალიციაში გაერთიანდნენ, ამჯერად უკვე კაბილას რეჟიმის წინააღმდეგ და 1998 წლის 2 აგვისტოს დაიწყო პირველი შეტაკებები, ამბოხებულები რიგრიგობით იკავებდნენ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს ქალაქებს, ბრძოლა სულ უფრო მწვავდებოდა და სიცოცხლის წართმევით ემუქრებოდა უამრავ მშვიდობიან მოსახლესა თუ სამხედრო პირს. პარალელურად კანფლიქტის მასშტაბებიც იზრდეობოდა სხვადასხვაგვარად მოტივირებულ აფრიკულ სახელმწიფოთა ინტერვენციების ხარჯზე, შედეგად ლოკალური უთანხმოება სულ მალე იქცა კონტინენტურ დაპირისპირებად, რომელმაც საკუთარი მსხვერპლის რაოდენობით მთელი მსოფლიო გააოცა (Weiss, 2000). სხვა ავტორები, მაგალითად, მეგან ქემი აფრიკის მსოფლიო ომის ფარგლებში მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებენ იტურიში, კონგოს ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში, მცხოვრებ ლენდუსა და ჰემას ეთნიკურ ჯგუფებს შორის აღმოცენებულ კონფლიქტს, რომელიც სწორედ კონგოს მეორე ომის პერიოდში გამძაფრებულ ტერიტორიულ დავებს, რესურსებისათვის ბრძოლასა და ეთნიკური თვითგამორკვევის სურვილს უკავშირდება, ამ და სხვა მსგავსი ლოკალური დაპირისპირებების სიმრავლემ განაპირობა კონგოს მეორე ომის მსხვერპლთა დიდი რაოდენობა (Camm, 2011).

რაც შეეხება კონფლიქტის დეესკალაციას, აქაც გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი, რომლებშიც საკუთარი წვლილი მიუძღვით შიდა და გარე აქტორებს. ამ მხრივ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1999 წლის ლუსაკას შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის, ტყვეთა გათავისუფლებისა და გაეროს სამშვიდობო ძალების კონგოში დაბრუნების შესახებ (Weiss, 2000). თუმცა, უნდა ითქვას, რომ დაპირისპირება ამით არ ამოწურულა და მხარეებმა ამ ხელშეკრულების შემდეგ კვლავ განაგრძეს

ერთმანეთის მიმართ საბრძოლო მოქმედებები, შესაბამისად შედარებით გვიანდელი წყაროები გვთავაზობენ კონგოს მეორე ომის შეჩერებისაკენ მიმართულ უფრო ეფექტიან შეთანხმებებს. ლაუსონი და სხვები თავიანთ ერთობლივ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებენ 2002 წლის დეკემბერს დაწყებულ მოლაპარაკებებზე, რომელიც სან სიტის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით დასრულდა და სიტუაციაც ჩაწყნარდა (Lawson & et.al, 2010).

დასასრულს, რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, სამეცნიერო წრეებში თანხმობაა კონგოს მეორე ომის წინაპირობებთან დაკავშირებით, თითეულ წყაროში გამოიყოფა მთელი რიგი ეთნიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, რომლებსაც აფრიკის დიდი ომი თავის თავში აერთიანებს და აღნიშნულია ის წინარე მოვლენები, რომლებიც უძღოდა ამ სისხლისმღვრელ დაპირისპირებას. ლიტერატურაში განხილულია ის მოტივებიც, რომლებიც აფრიკის სხვა სახლემწოფოებს გააჩნდათ კონგოს ომში ჩასართველად და აქ, როგორც დავინახეთ, მკვლევარები თანხმდებიან იმის შესახებაც, რომ აღნიშნული კონფლიქტის მასშტაბურობა დაკავშირებულია ტერიტორიულ დავებთან, რესურსებისათვის ბრძოლასთან, მრავალწლიან ეთნიკურ კონფლიქტთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან. დაპირისპირების ჩაცხრობის ეტაპზე კი ავტორები გამოყოფენ როგორც შიდა, ისე გარე ძალების, მაგალითად გაეროსა და საერთაშორისო საზოგადოების როლს. მიუხედავად ამისა, ამ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა აშკარად განიცდის აფრიკის ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტის მიზეზების ღრმა ანალიზის ნაკლებობას და ძირითადად ფაქტების, ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური გადმოცემით შემოიფარგლება, ამიტომაც ჩვენ მოცემული ნაშრომით შევეცდებით აღმოვფხვრათ ეს ხარვეზი და დაინტერესებულ პირებს შევთავაზოთ კონგოს მეორე ომის დაწყებისა და მისი მთელი კონტინენტის ომში გადაზრდის მიზეზების ჯეროვანი ანალიზი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქართულ ენაზე არსებული არცერთი აკადემიური წყარო არ იკვლევს აღნიშნულ შემთხვევას, ჩვენი ნაშრომი კი ერთგვარად ამ მოცემულობის გამოსწორებასაც ემსახურება.

მეთოდოლოგია

მოცემული სტატია ძირითადად დამყარებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე. მასში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს ლიტერეტურის დამუშავების ე.წ. „სამაგიდო კვლევის“ ხერხს. ჩვენ მიერ დასმულ საკვლევ კითხვაზე - რამ გამოიწვია კონგოს მეორე ომი, რომელმაც ფაქტობრივად მთელი აფრიკის კონტინენტი მოიცვა? - რელევანტური და ადექვატური პასუხის გასაცემად ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ სამეცნიერო და აკადემიური წყაროები, სხვადასხვა კვლევები, ანალიტიკოსთა სტატიები თუ გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომები. კვლევა აგრეთვე ეფუძნება პირველად, მეორეულ და მესამეულ წყაროებს.

საკითხში უკეთ ჩაწვდომისა და მისი მათავარი ასპექტების სიღრმისეული ანალიზის მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ ქეისის შესწავლის მეთოდი, რამაც მოგვცა საკმარისი ემპირიული ცოდნა კვლევის მიზნების მისაღწევად. იქიდან გამომდინარე, რომ კონგოს მეორე ომის გაანალიზებისას უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ისტორიული წინამძღვრები, ჩვენ გარკვეული ყურადღება დავუთმეთ იმ წყაროებსაც, რომლებიც კონფლიქტს ისტორიულ ჭრილში განიხილავს, ამავდროულად

გამოვიყენეთ სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც ციფრებში ასახავს აფრიკის დიდი ომის მსხვერპლთა რაოდენობას, ეს კი შესაძლებელი გახდა მრავალფეროვანი ინტერნეტმასალისა და სამეცნიერო ჟურნალების დახმარებით. ამ ყოველივეს შედეგად ჩვენ მოცემული სტატიით გთავაზობთ ე.წ. „აფრიკის მსოფლიო ომის“ მიზეზების კრიტიკულ შეფასებასა და ანალიზს.

კონფლიქტის წინამღძვრები

კონგოს მეორე ომს ძალიან საინტერესო და კომპლექსური წინამძღრები გააჩნია. მათი განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ჰუტუსა და ტუტსის დაპირისპირებაზე. მრავალრიცხოვანმა ჰუტუმ, რომელიც 1960 წელს კონგოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მცირერიცხოვანი ტუტსის მმართველობის პირობებში ცხოვრობდა 1994 წელს რუანდაში ამ უკანასკნელზე მასობრივი გენოციდი მოაწყო, რომელმაც მილიონამდე ტუტსის სიცოცხლე შეიწირა (Heredia, 2017). ეს იყო შედეგი საუკუნოვანი ეთნიკურ-ტომობრივი სიძულვილისა. რუანდის გენოციდმა სიკვდილს გადარჩენილი ტუტსი ხალხი ლტოლვილად აქცია, რომელთა დიდი ნაწილი კონგოში გადასახლდა (Jefemovas, 1995). აფრიკის უდიდესი კონფლიქტის გაღვივების საქმეში შემდეგი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ის მძიმე ეკონომიკური ვითარება და კორუფციის ჭაობი, რომელშიც ზაირი (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელწოდება 1971-1998 წწ.-ში.) 1965-1997-იან წლებში, ქვეყნის ხელისუფლებაში მობუტუ სესე სეკოს ყოფნისას იყო. ამ მხრივ, მდგომარეობა განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლებში გამწვავდა, რამაც სიტუაცია მთავრობისათვის უკონტროლო გახადა და მოსახლეობა მობუტუს წინააღმდეგ აამხედრა (Afoaku, 1999; Wrong, 2000). ანტისამთვრობო აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ლორან დეზირე კაბილა. აჯანყებულებმა ჩამოაყალიბეს გაერთიანებული დემოკრატიული ძალები კონგოს გასათავისუფლებლად (Allied Democratic Forces for the Liberation of the Congo – ADFL). მათ ზურგს უმაგრებდნენ რუანდა, უგანდა და სხვა აფრიკული სახლემწიფოებიც, რადგან ზაირს შეფარებული ჰყავდა ბევრი ჰუტუ, რომლებიც რუანდაში პატრიოტული ფრონტის გამარჯვების შემდეგ იქიდან გადევნეს (Dobbins & et.al., 2013). დაიწყო კონგოს პირველი ომი, მთავრობის მოწინააღმდეგეებმა რიგრიგობით დაიკავეს კონგოს უდიდესი ქალაქები - კისანგანი, ლუბუმბაში და უახლოვდებოდნენ ქვეყნის დედაქალაქსაც (Momodu, 2018; Unasov & et.al, 2013). ამის პარალელურად კი საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობდა კონფლიქტის დეესკალაციისაკენ წარმართვას, თუმცა ამაოდ, რადგან მხარეები მოლაპარაკებებში მხოლოდ იმიტომ ერთვებოდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო თანამეგობრობის მკაცრი კრიტიკა, მის შედეგიანობაზე კი სულაც არ ფიქრობდნენ (Weiss, 2000). ფორმალური მოლაპარაკებების კვალდაკვალ 1997 წლის მაისში კაბილა მრავალრიცხოვანი არმიითურთ შევიდა დედაქალქ კინშასაში. მან თავი ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადა და ამიერიდან სახელმწიფოს სახელწოდება ზაირი შეცვალა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკით. მობუტუ კი მაროკოში გაიქცა და იქ მალევე გარდაიცვალა (Momodu, 2018).

ამის მიუხედავად, კაბილას შემდგომი საქმიანობა აღარ აღმოჩნდა წარატებული, მან ქვეყანა ვერ გამოიყვანა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან და ვერც მთავრობის გაძლიერება შეძლო. ამასთან კაბილას მიიჩნევდნენ უცხოური სახლმწიფოების ჩვეულებრივ მარიონეტად, რადგან მან სწორედ მათი დახმარებით ჩაიგდო ხელთ ძალაუფლება და მისი მმართველობის პირველ ეტაპზე მართლაც განიცდიდა რუანდის ზემოქმედებას. ამის გამო იგი დაუპირისპირდა თავის ყოფილ უცხოელ მოკავშირეებს და მათ ჯარები ქვეყნიდან გააყვანინა (Thompsell, 2019a). ის ამავდროულად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ნაციონალისტი ლიდერი იყო და სურდა ჩამოშორებოდა გარე ძალებს (Sando, 2002). გარდა ამისა, მან ბრალი დასდო უგანდასა და რუანდას კონგოს აღმოსავლეთ საზღვართან წიაღისეული რესურსების ექსპლუატაციაში, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელთა მძლავრი ჯანყი კაბილას წინააღმდეგ. ამავდროულად ვერც ეთნიკურ წინააღმდეგობებს მოეღო ბოლო და საქმე კონგოს მეორე ომამდე მივიდა (Reyntjens, 2001).

კონგოს მეორე ომის მიმდინარეობა

1998 წლის 2 აგვისტოს ტუტსის სამხედრო შენაერთებმა გენერალი ონდეკანის (კაბილას ყოფილი მოკავშირე) მეთაურობით გააქტიურეს საბრძოლო მოქმედებები ქვეყნის აღმოსავლეთში. აჯანყების ცენტრი გახლდათ ჩრდილოეთ კივუს რეგიონი, რომლის მოსახლეობაც პირველი აუმხედრდა ქვეყანაში არსებულ რეჟიმს (Lawson et. al, 2010). ამის მსგავსი ვითარება იყო სამხრეთ კივუს რეგიონშიც, სადაც მთვრობას ბენიამულენგები (ადგილობრივი ტომი) დაუპირისპირდნენ (Reyntjens, 2009). მათ მხარი დაუჭირა რუანდამ. სწორედ მისი მეცადინეობით მალე ჩამოყალიბდა გაერთიანება კონგოს დემოკრატიისათვის (RCD). მთავრობის მოწინააღმდეგეებმა მალევე აიღეს ქალაქები უვირა და ბუკავუ, შემდეგ კი გაემარათნენ დედაქალაქისაკენ - კინშასა[2] (Nagar & Nganje, 2016). ამასობაში კაბილამ მოინდომა დახმარებოდა მის წინააღმდეგ წამოსული ტუტსის ხალხის მტრებს ანუ ჰუტუს წარმომადგენლებს. ამას კი მოჰყვა ფართომასშტაბიანი და სისხლისმღვრელი შეტაკებები, რომლებსაც დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობა შეეწირა. ტუტსის ხალხის აჯანყება მალე რუანდისა და უგანდის ინტერვენციაში გადაიზარდა (Williams, 2013). ქვეყნის აღმოსავლეთში ამ აჯანყების პარალელურად ანტისამთავრობო მოქმედებების მეორე ფრონტი პოლკოვინკმა ჯეიმს კაბარერემ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილშიც გახსნა. ეს გამოიწვია იმან, რომ კაბილამ საკუთარი მთავრობის დაკომპლექტება ადგილობრივებით სცადა და მნიშვნელოვანი თანამდებობიდან გადააყენა ტუტსი მაღალჩინოსნები. კაბარერე, რომელიც მანამდე არმიის შტაბის უფროსი გახლდათ, სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც კაბილამ დაკავებულ პოსტზე ადგილობრივი კონგოელით ჩაანაცვლა (Cook, 2013). ამიტომაც არმიის განაწყენებული ყოფილი უფროსის ძალები სულ უფრო აქტიურად უტევდნენ ქვეყნის მნიშვნელოვან პუნქტებს და მიემართებოდნენ დედაქალაქისაკენ, თუმცა ცოტა ხანში ქალაქი მატადისათვის გამართული ბრძოლა, რომელშიც ხელისუფლების მხარეს გამოვიდნენ ანგოლელი მეომრები, აჯანყებულთა მარხცით დასრულდა (Reyntjens, 2009). ამის მიუხედავად, მათ წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ

[2] დანართი #1: კონფლიქტის მიმდინარეობის არეალის რუქა.

მთავრობის ყურადღების გადატანა დასავლეთით, რამაც აღმოსავლეთში აჯანყებულებს დიდი ტერიტორიების დაკავების შესაძლებლობა მისცა. 1998 წლის ბოლოსთვის უკვე კონგოს სამოქალაქო ომმა მიიღო საერთო აფრიკული მასშტაბები. 1999 წლის დასასრულს მხარეები ერთამნეთს შეებნენ ქალაქი მობასათვის, რომელშიც აჯანყებულები მწარედ დამარცხდნენ. იმავე წელს დაიდო ლუსაკას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრუელბა (Weiss, 2000). თუმცა საბრძოლო მოქმედებები მომდევნო წლებში მაინც აქტიურად გაგრძელდა. მნიშვნელოვანია, რომ 2001 წელს მოულოდნელად სამხედრო საბჭოს სხდომაზე მოკლეს პრეზიდენტი კაბილა, რომელიც ამ პოსტზე შეცვალა მისმა შვილმა ჯოზეფ კაბილამ (Usanov, 2013).

ცოტა ხანში, 2002 წლის 2 ივლისს, პრეტორიაში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება ახალ პრეზიდენტ ჯოზეფ კაბილასა და რუანდის პრეზიდენტ პოლ კაგამეს შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუანდის 20 ათასიანი არმიის გაყვანას, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტუტსის ხალხის ორგანიზაციის ოფიციალურ აღიარებასა და ჰუტუს შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას (Thompsell, 2019b). 2003 წლის 2 აპრილს სამხრეთ აფრიკის კაზინო-კურორტ სან სიტიში გაფორმდა კიდევ ერთი ხელშეკრულება, ხელმომწერები იმედოვნებდნენ, რომ ეს იქნებოდა საბოლოო აქტი, რომლის საფუძველზეც შეიქმნებოდა საერთო ეროვნული მთავრობა, თუმცა ვინაიდან მას ხელს არ აწერდა რუანდის მხარდაჭერილი RCD, შეთანხმებამ აღნიშნული ვერ უზრუნველყო (Reyntjens, 2009). მიუხეადავად ამისა, მოგვიანებით მაინც მოხერხდა კონგოში ერთიანი მრავალპარტიული მთავრობის ჩამოყალიბება, რაც პრეზიდენტის პოსტზე კვლავ ჟოზეფ კაბილას დარჩენასა და პრემიერ-მინისტრად ჟან-პიერ ბემბას დანიშვნას გულისხმობდა. ყოველივე ეს კი უკვე კონგოს მეორე ომის, დასასრულად მიიჩნევა (Bavier, 2008). საერთო ჯამში ამ სისხლიმღვრელ კონფლიქტს 5,4 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომელთა 47%-ს ბავშვები შეადგენენ (Shah, 2010). ამხელა მხვერპლი უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების გარდა, ასევე ომის შედეგად გამძაფრებულმა შიმშილმა, არასწორმა კვებამ, მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა და ისეთი დაავადებების გამძვინვარებამ გამოიწვია, როგორებიცაა მალარია, პნევმონია და სხვა (BBC, 2011).

უნდა ითქვას, რომ კონგოს მეორე ომმა, თავის მხრივ, სტიმული მისცა მრავალი კონფლიქტის ესკალაციას რეგიონის სხვადასხვა ნაწილში. ასეთია მაგალითად, 1999-2003 წლების იტურის კონფლიქტი, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს დაუპირისპირდა აღნიშნული პროვინციაში მოსახლე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ლენდუსა და პასტორალიზმის მიმყოლი ჰემას ტომები. მიზეზი მიწებზე დავა იყო, რაც გაამძაფრა კონგოს ომმა, რომელმაც ეთნიკური თვითგამორკვევის სურვილს ფართო გზა გაუხსნა. შედეგად ბრძოლამ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის ამ ორი ეთნოსის მრავალი წარმომადგენლის სიკვდილი, დანარჩენების კი იძულებით გადაადგილებულ პირებად ქცევა გამოიწვია. მართალია, 2003 წელს დაძაბულობა განიმუხტა, თუმცა მინიმალიზებული უთანხმოება ლენდუსა და ჰემას ტომებს შორის დღემდე გრძელდება (Kramer & Ajao).

კონფლიქტის მიზეზების ანალიზი

კონგოს მეორე ომის უმნიშნელოვანეს მოვლენათა აღწერის შემდეგ, დროა, ქეისის ღრმად შესწავლის მიზნით მისი გამომწვევი მიზეზების საფუძვლიან გაანალიზებას მივყოთ ხელი. საყურადღებოა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კომპლექსურ და არაერთგვაროვან პრობლემებთან. პირველ რიგში, აღნიშვნის ღირსია ეთნიკური ხასიათის გართულებები, რაშიც იმთავითვე იგილისხმება სისხლიანი კონფლიქტი ტუტსისა და ჰუტუს ხალხებს შორის, რაც მუდამ მათი მტკივნეული თანაცხოვრების თანმდევია. ჰუტუს ტომი ოდითგანვე სახლობდა აფრიკის ცენტრალურ ნაწილში, დიდი ტბების რეგიონში, შემდგომ ამავე მიდამოებში ბინა დაიდო მომთაბარე ტუტსის ეთნიკურმა ჯგუფმაც (PBS News Hour, 1999). მათ დაპირისპირებას არაფერი აქვს საერთო ენასთან ან რელიგიასთან, ვინაიდან ორივე ეთნიკური ჯგუფი ლაპარაკობს როგორც ბანტურ, ისე ფრანგულ ენებზე და ორივე ქრისტიანობის მიმდევარია. თუმცა ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით (Johnson, 2020). იქიდან გამომდინარე, რომ ტუტსი ხალხი უმეტესად მესაქონლეობას - მეურნეობის უფრო შემოსავლიან დარგს - მისდევდა, ხოლო ჰუტუ მიწათმოქმედებას, ტუტსი უფრო გამდიდრდა, ვიდრე ჰუტუ. ამასთან ტუტსის ეთნიკური ჯგუფი პოლიტიკურ ელიტადაც კი ჩამოყალიბდა, რასაც ხელი შეუწყო ჯერ კიდევ ბელგიელი კოლონიზატორების მიერ ამ უკანასკნელთათვის მეტი პრივილეგიების მინიჭებამ და სახელმწიფო თანამდებობების ბოძებამ, რამაც მათ ჰუტუსთან შედარებით უფრო მაღალი სოციალური სტატუსი მიანიჭა (Beauchamp, 2014). ის ფაქტორი, რომ ტუტსი ჰუტუზე მკაფიოდ დომინირებდა, ამ უკანასკნელში უკმაყოფილებასა და პრეტენზიებს იწვევდა, ასეთი განწყობები თანდათან გროვდებოდა და ამოხეთქა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა ჰუტუ ხალხმა ხმამაღალი პროტესტი გამოთქვა თავისი დაქვემდებარებული პოზიციის გამო. ამას მოჰყვა 1972 წელს ბურუნდუში ტუტსის ხალხის მიერ 120 000 ჰუტუს მკვლელობა, 1994 წელს კი ჰუტუს ეთნოსისგან შემდგარი ძალადობრივი ჯგუფის სახელწოდებით ინტერაჰამვეს მიერ რუანდაში ტუტსის წარმომადგენლებზე განხორციელებული მასობრივი გენოციდი (Jonhson, 2020). მეორე და უმნიშვნელოვანესი მიზეზი გახლავთ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. ლორან დეზირე კაბილას ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყენა გამოეყვანა მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან, რომლის წინაშეც მოსახლეობა ჯერ კიდევ მობუტუს მმართველობის დროიდან იდგა. ეს კი სახლემწიფოს მოსახლეობაში მთავრობისადმი უკმაყოფილებას იწვევდა (Reyntjens, 2001). მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი კონგოს საგარეო პოლიტიკას უკავშირდება. კაბილას მთავრობა ტოლერანტული იყო მის ქვეყანაში მოსახლე ჰუტუს ტომისადმი, რომელსაც რუანდის, უგანდისა და ბურუნდის ხელისუფლება საკუთარ მტრად მიიჩნევდა, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნიდა ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში მშვიდობასა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. ზოგადად, საგარეო აქტორთა როლი კონგოს მეორე ომში დიდ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან სწორედ მათი წყალობით იქცა აღნიშნული კონფლიქტი აფრიკის მსოფლიო ომად (Cook, 2013). ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია უფრო ფართოდ განვიხილოთ ცალკეულ სახელმწიფოთა მოტივაცია კონგოს ომში ჩართვისათვის. რუანდის შემთხვევაში 1994 წლის გენოციდის შემდეგ მისი მთავარი მიზანი იყო გაენადგურებინა ტუტსის წარმომადგენელთა მასობროვ მკვლელობაში დამნაშავე რადიკალი ჰუტუს ეთნოსისგან შემდგარი

ინტერეჰამვე, რომელიც თავს აფარებდა კონგოს აღმოსავლეთ ნაწილს, რუანდის საზღვართან (Zapata, 2011). სწორედ ეს მოტივი იყო საფუძველი რუნდის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1997 წელს კონგოს სათავეში კაბილას მოსვლის მხარდასაჭერად, მაგრამ ვინაიდან სიტუაცია არც კაბილას მმართველობის დროს გამოსწორდა და ინტერაჰამვე კიდევ უფრო ინტენსიურად არღვევდა აღმოსავლეთით მოსაზღვრე ტერიტორიების უსაფრთხოებას, რუანდამ გაეძლიერებინა ბრძოლა მეამბოხე ჰუტუთა ლიკვიდაციისათვის, რითიც აღადგენდა სამართლიანობას (Reyntjens, 1999). ამ კონტექსტში იგი დაუპირისპირდა კაბილას მთავრობას, ვინაიდან მას საკუთარი მტრის (ჰუტუს ეთნოკირი ჯგუფის) მეგობრად (შესაბამისად საკუთარ მტრად) მიიჩნევდა. ამასთან იგი ინტერაჰამვეზე შურისძიების გარდა, ცდილობდა ჰუტუს აგრესიისაგან დაეცვა კონგოელი ტუტსი მოსახლეობა, რომელიც საკმაოდ დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა (Thompsell, 2019a). გადავიდეთ უგანდაზე, რომელიც რუანდის მსგავსად, საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ჩაერთო კონგოს მეორე ომში, ამ მხრივ, დიდი როლი ითამაშა კაბილას ახლო ურთიერთობამ სუდანთან, რომლის მიმართაც უგანდა ანტაგონისტურად იყო განწყობილი. თუმცა მთავარი მაინც იყო მოკავშირული ურთიერთბები, რომელიც უგანდას რუადასთან ჰქონდა, ეს კი განაპირობებდა იმას, რომ ისინი აფრიკის უდიდეს კონფლიქტში საერთო პოზიციას იკავებდნენ და ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ. რაც შეეხება ბურუნდის, მისი ტერიტორია, წინა ორის მსგავსად, ჰუტუსა და ტუტსის კონფლიქტით ხასიათდება. ამიტომაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო ამბოხებულ ჰუტუთა მოგერიება, რომლებიც თავის მხრივ, კონგელ ჰუტუთაგან იღებდნენ მხარდაჭერას (Williams, 2013). კაბილას წინააღმდეგ შექმნილი ალიანსის შემდეგ გადავიდეთ მის მომხრე ძალებზე. ასეთი უპირველეს ყოვლისა, იყო ანგოლა. ამ უკანასკნელმა აფრიკის დიდ ომში კონგოს მთავრობის მხარეს გამოსვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლად კაბილა მარცხისთვის იყო განწირული. ამ ნაბიჯის უკან მდგომი მისი ძირითადი ინტერესი იყო „ანგოლის დამოუკიდებლობისათვის შექმნილი ეროვნული კავშირის“ (UNITA) დამარცხება, რომელიც შემჩნეული იყო რუნდისა და უგანდის მოკავშირეობაში. გავაანალიზოთ ზიმბაბვეს მაგალითიც, რომელიც ასევე კაბილას მხარეს იბრძოდა. მას კონგოს მეორე ომში ჩართვისას წმინდად ეკონომიკური და იდეოლოგიული ფაქტორები ამოძრავებდა. პირველი მოტივაცია იყო კაბილას მიერ ზიმბაბველი მსხვილი ბიზნესმენებისაგან აღბული სესხი, რომელიც დაიკარგებოდა კაბილას მარცხის შემთხვევაში. გარდა ამისა, ზიმბაბველი ბიზნესმენები, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რომლის შედეგებსაც ორივე მხარისათვის დიდი ფინანსური მოგება უნდა მოეტანა (Thompsell, 2019a). იდეოლოგიურ ჭრილში კი, ზიმბაბვეს მმართველთათვის კონგოს ომი იყო შესაძლებლობა რეგიონში ლიდერობის მოსაპოვებლად. ნამიბიას კი, როგორც კაბილას კიდევ ერთ მხრდამჭერს, გააჩნდა ერთდროულად უსაფრთხოების, იდეოლოგიური და პირადი ინტერესები. პირველი, მას სჯეროდა, რომ UNITA-ს ძალები ეხმარებოდნენ ნაბიბიელ სეპარატისტულ ჯგუფებს, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას. მეორე, კონგოს მთავრობის მხარდამჭერ ქვეყნებს აერთიანებდათ მარქსისტული იდეოლოგია, ამასთან ნამიბიის პრეზიდენტი სემი ნუჯობა ზიმბაბვეს პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს ახლო მეგობარი იყო და ბოლოს, სუდანიც მოტივირებული იყო უსაფრთხოების პრობლემებით. ქალაქ ხართუმში მხარს

უჭერდნენ უგანდის განმანთავისუფლებელ ეროვნულ არმიას, უგანდის მმართველი პირები კი კონგოს ომში კაბილას წინააღმდეგ გამოვიდნენ, ამიტომ სუდანი აღნიშნულ კონფლიქტში კაბილას მხარეს ჩაერთო. იმით რაც უკვე აღვწერეთ გამოიკვეთა, რომ კონგოს ომში ჩართული სახელმწიფოები უმეტესად ხელმძღვანელობდნენ პრინციპით „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია", ხოლო „ჩემი მეგობრის მტერი, ჩემი მტერია" (Williams, 2013). გარდა ზემოთ აღნიშნული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისა და ჰუმანიტარული მიზნებისა, ფაქტია, რომ სახელმწიფოთა კიდევ ერთი მამოტივირებელი ფაქტორი იყო სიმდიდრისა და რეგიონული ლიდერის სახელის მოპოვება. აფრიკის მსოფლიო ომში ჩართულ ათამდე ქვეყანას სურდა ესარგებლა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილის მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულით (ოქრო, ბრილიანტი, კალა, კოლტანი და სხვა), კაბილამ კი არ ისურვა ამ რესურსების მოპოვებაში მეზობლებთან ეთანამშრომლა (Thompsell, 2019b). მეზობლებთან ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა იმ ფაქტმაც, რომ კაბილამ არ გამოიჩინა ინტერესი 2 მილიარდიანი პროექტის მიმართ, რომლის ფარგლებშიც უნდა აშენებულიყო დამაკავშრებელი გზა უგანდასა და კისანგანს (კონგოს) შორის. უგანდელ ბიზნესმენებს კი პრობლემები შეექმნათ თავიანთი პროდუქციის კონგოში გასაღების თვალსაზრისით, რაც უდიდესი დარტყმა იყო უგანდის ეკონომიკური ინტერესებისთვის. კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკური მიზეზი იყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ კონფლიქტის რომელიმე მხარის მყარი მხარდაჭერის არ არსებობა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ჩათვლით და კაბილას ფაქტორი, რომელიც პრობლემურ საკითხთა მოგვარების მიზნით მეზობელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმით დიდად უწყობდა ხელს კონფლიქტის ესკალაციას (Cook, 2013).

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონგოს მეორე ომი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი გამოდგა კაცობრიობის ისტორიაში და აფრიკის მსოფლიო ომის სახელიც დაიმსახურა, გამოწვეული იქნა მთელი რიგი კომპლექსური და ურთიერთდამოკიდებული ფაქტორებისგან (ეთნიკური დაპირისპირება, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, არასწორი საგარეო პოლიტიკა და რესურსებისათვის ბრძოლა), რომელთა ერთობლიობამაც მიიყვანა სახელმწიფოები იმ მოცემულობამდე, რომელშიც ომი გარდაუვალი გახლდათ. რეგიონსა და სახელმწიფოებში, რომელთა საზღვრები ისე იყო გავლებული, რომ საუკუნეების მანძილზე ერთმანეთთან დაპირისპირებული ტომები, თანამემამულეებად იქცნენ, რთული აღომჩნდა მშვიდობის შენარჩუნება. შედეგად, კლასობრივმა შეუთავსებლობებმა ორ მეზობელ ეთნიკურ ჯგუფს შორის კონგოს მეორე ომში მწვავედ იჩინა თავი. ამას თან დაერთო გარკვეული საგარეო პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემოებები და სამთავრობო ძალების არაეფექტურობა, რომელთაც ვერ შეძლეს გამკლავებოდნენ მათ წინაშე არსებულ პრობლემებს მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით.

დასმულ საკვლევ კითხვაზე პასუხების მისაღებად, ჩვენ შევეცადეთ ღრმად გაგვეანალიზებინა ის ფაქტორები, რომლებმაც გავლენა იქონიეს კონფლიქტის გაღვივებასა და მის მთელ კონტინენტზე გავრცელებაზე. შედეგად გამოვყავით დაპირისპირებულ მხარეთა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯების უკან

მდგომი მოტივები და ინტერესები, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოების დაცვა, სამოკავშირეო ურთიერთობების შესრულება, სიმდიდრის ხელში ჩაგდება და რეგიონული ლიდერობის მოპოვება.

დანართები:

დანართი #1: კონფლიქტში ჩართულ სახელმწიფოთა რუკა



Don-kun, TUBS, *Countries participating in the Secong Congo War.* Wikimedia Commons, 2013

დანართი #2: კონფლიქტის მიმდინარეობის არეალის რუკა



Don-kun, Uwe Dedering, *Map of Second Congo War 2001-2003*, Wikimedia Commons, 2013

ბიბლიოგრაფია:

- Afouku, J.O. (1999) The politics of Democratic Transition in Congo (Zaire): Implications of the Kabila "Revolution", *Journal of Conflict Studies.* Retrieved July 24, 2021, from: https://www.erudit.org/en/journals/jcs/1999-v19-n2-jcs_19_2/jcs19_02art03.pdf
- Bavier, J. (2008). Congo war-driven crisis kills 45,000 a month: study. Retrieved July 24, from: https://www.reuters.com/article/us-congo-democratic-death-idUSL2280201220080122?fbclid=IwAR0udUziUbp5kvtYrKO5O8kdgQMtUnGtYeirNGQub1M2WR9wjl_VK4ivvQE
- Beauchamp, Z. (2014). Rwanda's genocide: what happened, why it happened and how it still matters. Retrieved July 24, 2021, from: https://www.vox.com/2014/4/10/5590646/rwandan-genocide-anniversary
- BBC, (2010). DR Congo war deaths 'exaggerated'. Retrieved July 24, 2021, from: https://web.archive.org/web/20100121025213/http://news.bbc.co.uk/2/hi/africa/8471147.stm
- CAMM, M. (2011). Conflict in Congo. *World Policy Journal, 28*(4), 70-80. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/41479307
- Cook, C. R. (2013). Diamonds and Genocide: American, British and French Press Coverage of the Second Congo War. Retrieved July 24, from: https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/2158244013495051?fbclid=IwAR3TNUiOLonWDKBq4HL6NzmDu256DHqLa_htBVQWtEz1-crsvG2nJzHwmAQ
- C. Kabuya-Lumuna Sando. (2002). Laurent Désiré Kabila. *Review of African Political Economy, 29*(93/94), 616-619. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/4006803
- DE HEREDIA, M. (2017). The history and present of 'Africa's World War'. In *Everyday Resistance, Peacebuilding and State-making: Insights from 'Africa's World War'* (pp. 75-105). Manchester: Manchester University Press. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/j.ctt1wn0rvj.10
- Dobbins, J., Miller, L., Pezard, S., Chivvis, C., Taylor, J., Crane, K., . . . Mengistu, T. (2013). Democratic Republic of the Congo. In *Overcoming Obstacles to Peace: Local Factors in Nation-Building* (pp. 179-204). RAND Corporation. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/10.7249/j.ctt3fgzrv.16
- Glover, J. (2010). Genocide, Human Rights, and the Politics of Memorialization: "Hotel Rwanda" and Africa's World War. *South Atlantic Review, 75*(2), 95-111. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/41635613
- Jefremovas, V. (1995). Acts of Human Kindness: Tutsi, Hutu and the Genocide. *Issue: A Journal of Opinion, 23*(2), 28-31. Retrieved July 24, 2021, from: https://www.jstor.org/stable/1166503
- Johnson, B., (2020) Why is There Conflict Between Hutus and Tutsis? Retrieved July 24, 2021, from: https://www.thoughtco.com/location-of-conflict-tutsis-and-hutus-3554918#:~:text=The%20Tutsis%20are%20thought%20to,power%20by%20force%20in%20Rwanda.
- Kramer, A. & Ajao, D., Ituri Conflict. Retrieved July 24, 2021, from: https://www.arcgis.com/apps/Cascade/index.html?appid=acfa991ef14543a18bb6bbbd419aadef

- Lawson, B., Kelly, T., Parker, M., Colloton, K., & Watkins, J. (2010). Nord-Kivu Case Study. In *Reconstruction Under Fire: Case Studies and Further Analysis of Civil Requirements* (pp. 81-102). Santa Monica, CA; Arlington, VA; Pittsburgh, PA: RAND Corporation. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/10.7249/mg870osd.13
- Merchant, Z. (2020). Democratic Republic of the Congo. Retrieved July 24, from: http://worldwithoutgenocide.org/genocides-and-conflicts/congo
- Momodu, S., (2018) Second Congo Civil War. Retrieved July 24, 2021, from: https://www.blackpast.org/global-african-history/second-congo-civil-war-1996-1997/
- NAGAR, D., & NGANJE, F. (2016). *WAR AND PEACE IN THE GREAT LAKES REGION* (pp. 12-14, Rep.). Centre for Conflict Resolution. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/resrep05184.8
- Olsson, O., & Heather Congdon Fors. (2004). Congo: The Prize of Predation. *Journal of Peace Research,* 321-336. Retrieved July 24, 2021, from: http://www.jstor.org/stable/4149747
- PBS News Hour, (1999). The Heart of The Hutu-Tutsi Conflict, *PBS News Hour.* Retrieved July 24, 2021, from: https://www.pbs.org/newshour/politics/africa-july-dec99-rwanda_10-08
- Reyntjens, F. (1999). Briefing: The Second Congo War: More than a Remake. *African Affairs, 98*(391), 241-250. Retrieved July 24, 2021, from: http://www.jstor.org/stable/723629
- Reyntjens, F. (2001). Briefing: The Democratic Republic of Congo, from Kabila to Kabila. *African Affairs, 100*(399), 311-317. Retrieved July 24, 2021, from: http://www.jstor.org/stable/3518770
- Reyntjens, F. (2009). The Great African War, *Congo and Regional Geopolitics, 1996-2006.* Cambridge University Press, Retrieved July 24, 2021, from: file:///C:/Users/Qristi/Downloads/filip_reyntjens_the_great_african_war._congo_andbook4you.org_%20(1).pdf
- Shah, A. (2010) The Democratic Republic of Congo. Retrieved July 24, 2021, from: https://www.globalissues.org/article/87/the-democratic-republic-of-congo
- Thopsell, A. (2019a). The Second Congo War. Retrieved July 24, 2021, from: https://www.thoughtco.com/second-congo-war-43698
- Thompsell, A. (2019b). History of the Second Congo War. Retrieved July 24, 2021, from: https://www.thoughtco.com/second-congo-war-battle-for-resources-43696
- Usanov, A., De Ridder, M., Auping, W., Lingemann, S., Espinoza, L., Ericsson, M., . . . Liedtke, M. (2013). *Coltan, Congo & Conflict: POLINARES CASE STUDY* , Hague Centre for Strategic Studies. Retrieved July 24, 2021, from: http://www.jstor.org/stable/resrep12571.6
- Williams, Ch. (2013) Explaining the Great War in Africa: How Conflict in the Congo Became a Continental Crisis, *The Fletcher Forum of World Foreign Affairs.* Retrieved July 24, 2021, from: https://static1.squarespace.com/static/579fc2ad725e253a86230610/t/57ec7c4abe6594808a456999/1475116113924/Williams-37-2.pdf

- Weiss, H. (2000) War and Peace in the Democratic Republic of Congo, *Current African Issues, Nordiska Africainstitutet.* Retrieved July 24, 2021, from: https://www.files.ethz.ch/isn/105528/22.pdf
- Wrong, M. (2000). The Emperor Mobutu. *Transition,* (81/82), 92-112. Retrieved July 24, 2021, from http://www.jstor.org/stable/3137451
- Zapata, M. (2011). Congo: The First and Second Congo Wars, 1996-2003. Retrieved July 24, 2021, from: https://enoughproject.org/blog/congo-first-and-second-wars-1996-2003?fbclid=c